

განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე "საქართველოს შრომის კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 თავის მე-20 მუხლის "კ" და "ვ" პუნქტების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნასთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიზანია საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის—საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღქვადგური ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: კანონპროექტის ძირითადი არსია საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 თავის მე-20 მუხლის "კ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "კ) 9 აპრილი—საქართველოს დამოუკიდებლობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე", ხოლო მე-4 თავის მე-20 მუხლის "ვ" პუნქტი გაუქმდეს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: პროექტი არ ახდენს ფინანსურ გავლენას იმ პერეებზე, რომელთა მიმართაც ხორციელდება კანონი.

